

მობილობის მსურველთა საყურადღებოდ !

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია განახორციელოს საკუთარი განაცხადის რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე www.eqe.ge, 2015 წლის 23 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით;
2. პირი, რომელიც მოიპოვებს სტუ-ში ჩარიცხვის უფლებას, რაც ფიქსირდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის www.eqe.ge ელექტრონულ პორტალზე, ვალდებულია მიმართოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით 2015 წლის 9 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე, 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე. (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მესამე სართული, ოთახი №350);
3. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებით და საჭირო თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.